ლელო

№7
(11 156)

28 - 30 იანვარი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამეგობრობა-98

**მოსკოვში გრძელდება თანამეგობრობის თასის რიგით მეექვსე საერთაშორისო ტურნირი დახურულ დარბაზში. როგორც ცნობილია, წინა გათამაშებებში სამჯერ გაიმარჯვა მოსკოვის „სპარტაკმა“, ორჯერ — კიევის „დინამომ“.**

## თბილისის „დინამოს“ მეტოქე კიევის „დინამო“ იქნება

„თანამეგობრობა-98“-ის ტურნირი თბილისის დინამოელებმა ყირგიზეთის ჩემპიონის — ბიშკეკის თანაკლუბელთა განადგურებით დაიწყეს 7-0. გოლები: ხომერიკი (8,23), აშვეთია (21), გოგობერიშვილი (43), სარდატოვი (69, საკ. კარში), წიტაიშვილი (84), პეტრიაშვილი (88).


უტევს ლევან ხომერიკი

პირველი დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ვახში (ტაჯიკეთი) — ერევანი (სომხეთი) 0-6, სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (ბელარუსი) 8-1, რუსეთის ახალგ. ნაკრები — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2-0, კარედა (ლიტვა) — კოპეტდაღი (თურქმენეთი) 0-2, დინამო (უკრაინა) — მხსკ (უზბეკეთი) 3-0, ტულევიკი (ესტონეთი) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 2-2, სკონტო (ლატვია) — ირტიში (ყაზახეთი) 3-0. ეს შეხვედრა სურამელმა თამაზ ლაცაბიძემ იმსაჯა.

ჯგუფური შეჯიბრის მეორე ტურში საქართველოს ჩემპიონის მეტოქე ყაზახეთის უძლიერესი გუნდი პავლოდარის „ირტიში“ იყო. მართალია გაუჭირდა, მაგრამ „დინამომ“ აქაც იმარჯვა 3-2.

**დინამო:** ზოიძე, ჯელაძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, გოგობერიშვილი (პეტრიაშვილი, გელაძე), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (არსოშვილი), მუჯირი, ხომერიკი (წიტაიშვილი).

**ირტიში:** იშუტინი, გუმარი (გორიაჩევი), პერერვა, აბდუალიევი, მირზაბაევი (კოსტადიანი), კუჩერიავიხი, ბუში, სტრუკი, ნინიაზმეტდოვი, კისაკი, კოლბუხინი.

**გოლები:** 0-1 კისაკი (10), 1-1 აშვეთია (18), 2-1 ხომერიკი (28), 2-2 კუჩერიავიხი (43), 3-2 პეტრიაშვილი (76).

**მეორე ტურის სხვა მატჩები:** სპარტაკი — ვახში 19-0, ერევანი — დინამო (მნ.) 0-2, რუსეთის ახალგ. ნაკრები — კოპეტდაღი 0-0, კონსტრუქტორული — კარედა 1-3, დინამო (კ) — ქიაფაზი 6-0, ტულევიკი — მხსკ 1-2, სკონტო — დინამო (ბიშკ.) 8-0.

ბოლო ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა ჯგუფებში ასეთია:

**A ჯგუფი**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი (რუსეთი) | 2 | 0 | 0 | 27-1 | 6 |
| დინამო (ბელარუსი) | 1 | 0 | 1 | 3-8 | 3 |
| ერევანი (სომხეთი) | 1 | 0 | 1 | 6-2 | 3 |
| ვახში (ტაჯიკეთი) | 0 | 0 | 2 | 0-25 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთ. ახალგ. ნაკ. | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| კოპეტდაღი (თურქმ.) | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| კარედა (ლიტვა) | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| კონსტრუქტ. (მოლ.) | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო (უკრაინა) | 2 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| მხსკ (უზბეკეთი) | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| ტულევიკი (ესტონ.) | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| ქიაფაზი (აზერბაიჯ.) | 0 | 1 | I | 2-8 | 1 |

**D ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 11-0 | 6 |
| დინამო (საქართვ.) | 2 | 0 | 0 | 10-2 | 6 |
| ირტიში (ყაზახეთი) | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| დინამო (ყირგიზეთი) | 0 | 0 | 2 | 0-15 | 0 |

**გუშინ.** თბილისის „დინამო“ შეხვდა ლატვიის ჩემპიონს რიგის „სკონტოს“.

**დინამო:** ზოიძე, ჩიხრაძე, გუჩუა, დიდავა (გელაძე), ცქიტიშვილი, არსოშვილი, კიკნაძე (პეტრიაშვილი), ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (წიტაიშვილი).

**სკონტო:** გვარამაძე, სილაგაძე, ლობანოვი, (კოლესნიჩენკო, სოლოვიოვი), ლაიზანი, სტეპანოვი, ბლეიდელსი (წერეთელი), პახარი (რეხვიაშვილი), მიხოლაპი, ბლაგონადეჟდინი, ასტაფიევი, შტოლცერსი.

**გოლი:** 0-1 შტოლცერსი (6), 0-2 სოლოვიოვი (77, პენ.)

**გააფრთხილეს:** ლაიზანი, ალექსიძე

**მსაჯი:** ს. ტატულიანი (უკრაინა)

თბილისელები ჯგუფში პირველ ადგილს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში იკავებდნენ, ეს კი საშუალებას მისცემდათ მეოთხედფინალში ასცდენოდათ ისეთ ძლიერი მეტოქე, როგორიცაა კიევის „დინამო“.

ჩვენებმა მატჩი წარუმატებლად დაიწყეს: დაცვაში უხეში შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა ანდრეი შტოლცერსმა და ახლო მანძილიდან აიღო ზოიძის კარი. ამის შემდეგ დინამოელები შედარებით გააქტიურდნენ, დაეუფლნენ მოედნის ცენტრს, მაგრამ რაიმე ხიფათის შექმნა მეტოქის კართან ვერ შეძლეს.

მეორე ტაიმში დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ტაიმის შუაწელში დაშავდა საყრდენი ნახევარმცველი კიკნაძე, რამაც დიდი გავლენა იქონია თბილისელთა თამაშზე. გააქტიურებულმა ლატვიელებმა რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს დინამოელთა კარს, ერთხელაც საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესები დაარღვია პეტრიაშვილმა და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც სერგეი სოლოვიოვმა გამოიყენა 0-2.

მეოთხედფინალში, ოთხშაბათს, თბილისელები კიეველ თანაკლუბელებს ეთამაშებიან. მეორე ტაიმის რადიორეპორტაჟი 19 საათსა და 30 წუთზეა.

**ძიუდო** მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

# როცა ლიდერები ისვენებენ, ოქროს მედალს სხვები ვერ მოიგებენ

ეს იყო უმაღლესი, A კატეგორიის ტურნირი და წლევანდელი სპორტული სეზონისათვის მზადების თვალსაზრისით ჩვენი ნაკრები მოსკოვს ულიდერებოდ გაემგზავრა (გიორგი ვაზაგაშვილი, სოსო ლიპარტელიანი — იგი ტრავმირებულიცაა, გიორგი რევაზიშვილი, დავით ხახალეიშვილი). მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მოსკოვს 13 ათლეტი მაინც წაიყვანა ერთი ძიუდოისტი ქალიშვილის — მანანა ბენაშვილის თანხლებით.


ივერი ჯიქურაული

ჩვენებიდან გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი ივერი ჯიქურაულს (100 კგ) გასჩენია, მაგრამ ფინალში. ბოლო წამებს გადაუწყვეტია შეხვედრის ბედი მეტოქის სასარგებლოდ. თუმცა, ვერცხლის მედალიც არ არის ურიგო სეზონის სტარტზე. ჩვენების აქტივშია ორი ბრინჯაოს მედალი, რომელიც გიორგი გუგავას (90) და ჯონდო მუზაშვილს (73) ხვდათ. V-VI ადგილებზე გავიდნენ ნესტორ ხერგიანი (60) და რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე). რაც შეეხება ერთადერთ მონაწილეს ქალთა შორის მანანა ბენაშვილს, იგი ასპარეზობას პირველი წრიდან გამოეთიშა. ტურნირზე ჩვენი მსაჯებიც იყვნენ მიწვეულნი — მერაბ ლოსაურაშვილი და ამირან ტოტიკაშვილი.


გია გუგავა


ჯონდო მუზაშვილი

## ფიფას პრეზიდენტის სავარძლისათვის

# აველანჟი პელეს აძაგებს და ბლატერი ცაში აჰყავს

„ლელოში“ არაერთხელ დაბეჭდილა მასალები ფიფას პრეზიდენტ ჟოაო აველანჟისა და მისი თანამემამულის, ფეხბურთის მეფის პელეს „გულთბილი“ ურთიერთობების შესახებ. ერთმანეთის შესამკობად ისინი მომენტს არ უშვებენ ხელიდან. ამიტომ, როდესაც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების გავრცელებული ფიფას პრეზიდენტის მიერ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული პრესკონფერენციის შინაარსი გადავიკითხეთ, დიდად არ გაგვკვირვებია ის, რომ აველანჟმა კვლავ მიიტანა იერიში სახელგანთქმულ ვეტერანზე.

82 წლის აველანჟმა ასე დაახასიათა პელე: „როგორც ფეხბურთელს, მას ათიდან ათ ქულას დავუწერდი, მაგრამ, როგორც ხელმძღვანელს... პელემ თვითონ არ იცის, რას ხელმძღვანელობს. მაგის გაკეთებული საქმე ჯერ არ მინახავს და თუ მაინც რაღაცას მოიმოქმედებს, ისიც სხვისი ინიციატივით“.

შეკითხვაზე, ვის ისურვებდით თქვენს პოსტზე, აველანჟმა ყოველგვარ მიკიბ-მოუკიბავად განაცხადა — ზეპ ბლატერსო: „იგი მშვენივრად ფლობს ინგლისურს, ფრანგულს, ესპანურს, იტალიურს, პორტუგალიურს. შვეიცარიის არმიაში მსახურობის დროს პოლკოვნიკის წოდებამდე მიაღწია და კარგი ორგანიზატორული ნიჭი აქვს. ფიფას გენერალური მდივანი მეტად კომუნიკაბელური და წესრიგის მოყვარულია. იგი ფიფაში 23 წელია მუშაობს და სამსახურში ყოველთვის დილის შვიდ საათზე მოდის და შინ შვიდზე ბრუნდება. აი, ადამიანი, რომელიც მე ღირსეულად შემცვლის“.

## SOS არადა, მეორე წრეც მალე მოვა

არასასიამოვნო მოვლენად იქცა — ყოველი საფეხბურთო სეზონის მოახლოებისას თუ შუაწელში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ), ერთბაშად ლამის 5-6 გუნდი ფინანსური კრიზისის გამო დაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. მსგავსი სურათია ამჟამადაც. ისეთი კლუბები, როგორიცაა ბოლნისის „სიონი“, ზესტაფონის „მარგვეთი“, ლანჩხუთის „გურია“, გორის „დილა“, ჭიათურის „მაღაროელი“, თბილისის „მორკინალი“, რომ იტყვიან, სულს ღაფავენ და შესაბამისად მეორე წრისათვის მზადებას არ შესდგომიან. ისინი იმედის თვალით შეჰყურებენ რაიონისა თუ ქალაქის ხელმძღვანელებს, იქნებ ადგილობრივი ბიუჯეტიდან რაიმე უწყალობონ. საშველი კი ჯერჯერობით არსაიდან ჩანს... ეგებ დადგა დრო მეტი პატივისცემით მოვეკიდოთ საკუთარ ჩემპიონატს და სერიოზულად დავფიქრდეთ პირველი ჯგუფის გუნდების შემცირებაზე?

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან და გაცხოველებით ემზადებიან მომავალი ასპარეზობისათვის თბილისისა და ბათუმის დინამოელები, ფოთის კოლხები, თბილისის მერანელები, ლოკომოტიველები, უნივერსიტეტელები, ქუთაისის ტორპედოელები, ზუგდიდის ოდიშელები. ამიერიდან „ლელო“ სისტემატურად შემოგთავაზებთ მასალებს გუნდებში არსებულ მდგომარეობაზე და ცვლილებებზე.

მ. სხირტლაძე

აუნაზღაურებელი, უმძიმესი დანაკლისი განიცადა საქართველოს სპორტმა, ქართულმა ფეხბურთმა, მთელმა საქართველომ. 60 წლისა გარდაიცვალა ქართულ ფეხბურთში საქმით, ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული თვალსაჩინო სპეციალისტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში თავისი მაღალი ავტორიტეტით აღიარებული პიროვნება

ნოდარ ახალკაცი

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, ეროვნული ფეხბურთის ქომაგებს, მთელ საზოგადოებრიობას.

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი*

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, 70-80-იან წლებში „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყველა წარმატების სულისჩამდგმელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

ნოდარ ახალკაცი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი თბილისის „მერანი-91“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კაცი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატება და აღიარება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრი

ნოდარ ახალკაცი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნაგანო–98




ნაგანო–98

იაპონიის ფინანსთა სამინისტრომ ნაგანოს ოლიმპიადასთან დაკავშირებით გამოუშვა 10 000 იენის ღირებულების ოქროს, 5000 იენის ღირებულების ვერცხლისა და 500 იენის ღირებულების სპილენძის მონეტები. თითოეულ მონეტაზე სხვადასხვა სახეობაა აღნუსხული – პირველზე ტრამპლინიდან ხტომა, მეორეზე – ჰოკეი, მესამეზე – სნოუბორდი. მონეტის მეორე მხარეს კი ნაგანოს პრეფექტურის ფლორისა და ფაუნის ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშებია ასახული. მონეტების გამოცემა გრძელდება და თამაშების გახსნისთვის დასრულდება.

## მკითხველის წინადადება

### ჩვენი მოჭადრაკე ქალები, სპორტსმენები და გუნდები დიდი ხანია იმსახურებენ საფოსტო მარკებზე ასახვას

არ შევუდგები იმის მტკიცებას თუ რაოდენ განუზომელია საფოსტო მარკების მეშვეობით ერის მიღწევების პროპაგანდა. ბოლო წლებში ბევრმა ქართულმა საფოსტო მარკამ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მსოფლიო სპორტულ ფილატელიაში, მათ შორის, სპორტულმაც. ამჯერად მინდა ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ჩვენს მოჭადრაკე ქალებს იმდენი მიღწევები აქვთ, ნამდვილად იმსახურებენ პატივს აისახონ სპორტულ საფოსტო მარკებში. მანილა, მოსკოვი, ერევანი, მსოფლიო ჩემპიონები და საჭადრაკო ოლიმპიადებში მიღწეული უმაღლესი წარმატებები ნამდვილად იძლევა იმის საფუძველს, რომ შედგეს საფოსტო ბლოკების საინტერესო ვარიანტები.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყანამ, მონღოლეთმა 1986 წელს გამოუშვა მარკები, რომლებიც მიუძღვნა მსოფლიო ჩემპიონებს ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს; ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტის გვერდით გამოსახულ საჭადრაკო დაფაზე აღბეჭდილია მისი საუკეთესო პარტიის დაბოლოება მილუნკა ლაზარევიჩთან, ხოლო მაია ჩიბურდანიძის პორტრეტის გვერდით, შესაბამისად, მისი საუკეთესო პარტიის დაბოლოება ირინე ლევიტინასთან. იმედია, რომ არც საქართველო ჩამორჩება მონღოლეთს და ღირსეულად დააფასებს თავის გმირებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უპრიანი იქნებოდა, საფოსტო მარკები 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო გუნდისთვის და 1981 წლის ევროპის საკლუბო გუნდების თასების მფლობელთა თასის მფლობელის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდისთვის მიგვეძღვნა.

**მალხაზ ებრალიძე,**
თბილისი

## მკითხველი გაზეთი

**შეკითხვა:** ზესტაფონის სპორტულ სკოლაში მწვრთნელებად მუშაობენ როგორც სპეციალისტები, ისე არასპეციალისტები. ე.ი. არიან I-II და უმაღლესი კატეგორიის მუშაკები სპეციალური უმაღლესი ან საშუალო განათლებით. ეს მწვრთნელები ხელფასს იღებენ თანაბრად, დატვირთვის ერთნაირ პირობებში. გთხოვთ გვიპასუხოთ: რა განსხვავება უნდა იყოს ხელფასში სპეციალისტსა და არასპეციალისტს შორის დატვირთვის თანაბარი საათების შემთხვევაში?

**მერაბ ზარნაძე,**
სპორტის ოსტატი, ზესტაფონი

**პასუხი:** დამტკიცებულია სასპორტო სკოლების ახალი დებულება, რომელსაც, ცხადია, თქვენი სკოლაც მიიღებდა ან მიიღებს. ხსენებული დებულების მე-8 დანართში კონკრეტულადაა მითითებული მწვრთნელთა ანაზღაურება განათლების მიხედვით. დავძენთ, რომ ხელფასი იზრდება საპატიო წოდებისათვის 20 %-ით, უფროსის წოდებისათვის 15 %-ით. ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლებში ყველა მწვრთნელ-მასწავლებლის ხელფასს ემატება 20 %.

## *საქართველო: ლილეჰამერიდან – ნაგანომდე*

დამოუკიდებელმა საქართველომ ოლიმპიურ თამაშებში პირველად ამ ოთხი წლის წინათ ისპარეზა ლილეჰამერში. მაშინ, ხუთი სპორტსმენით წარსდგა ჩვენი ქვეყანა ზამთრის თამაშებზე. ესენი იყვნენ სამთო მოთხილამურეები ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი, „მფრინავი მოთხილამურე“ კახა წაქაძე და მოციგავეები კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი. ამჯერად, იმ პირველი ნაკრებიდან კვლავ ჯიჯიშვილი, წაქაძე, შესაძლებელია ისევ აბრამიშვილი და სოფიკო ახმეტელი (სამთო თხილამურები) გამოვა ნაგანოს თოვლიან ტრასებზე.

ბევრი რამ მოახლოებულ თამაშებთან დაკავშირებით გაირკვევა პარასკევს, როცა სეოკის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი პრესკონფერენციას გამართავს ჟურნალისტებისთვის.



*1994 წელი. ლილეჰამერი. ქართველ სპორტსმენთა პირველი დელეგაცია ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე*

## ჭადრაკის ამბები

**ჩემპიონატის ექო**

# მარცხის მიზეზები? ავხსნათ!

**ქართველ მოჭადრაკე ქალთა სერიოზული მარცხი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირზე, რა თქმა უნდა, საფუძვლიანი განხილვის საგანი უნდა გახდეს. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა ცნობილი მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი.**

● ***რა შეიძლება ითქვას ამ შეჯიბრებაზე, თავისებურ გამონაკლისზე უკვე მოდადქცეულ „სპრინტერულ“ ასპარეზობებს შორის? 18 ტურის მანძილზე ხომ მოჭადრაკეს საშუალება ეძლევა სრულად გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობა?***

– დიახ, ასეა. ახლა მარცხს ვერც პარტიების მცირე რიცხვს დააბრალებ, ვერც დროის უკმარისობას.

● ***მაინც, რატომ გამოვიდნენ ჩვენი მოჭადრაკეები ესოდენ უფერულად? დავიწყოთ ქეთევან კახიანით, თქვენი აღზრდილია.***

– ეს მარცხი, წარმოიდგინეთ, სხვაზე უფრო იოლი ასახსნელია. ქეთინო სერიოზულად ემზადებოდა, ძირითადად დიდოსტატ რუსტემ დაუთოვის ხელმძღვანელობით, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც შედის. კახიანთან ერთხანს ჩვენი დიდოსტატი გია გიორგაძეც მუშაობდა. მე გერმანიაში ადრე ჩაველი, შემდეგ კი ქეთინოსთან ერთად გრონინგენში გავემგზავრე.

● ***მაშ, რაში იყო საქმე?***

– ავადმყოფობასთან რას გააწყობ, რა იცი, როდის დაგატყდება თავს. ეს მზადებაც სწორედ რაღაც ალერგიულმა ავადმყოფობამ ჩაშალა, რის შემდეგ ტურნირში წარმატებით გამოსვლაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა. ასეთ მდგომარეობაში ერთ პარტიასაც კი ვერ ითამაშებ. ამიტომ ექიმებმა კახიანს კატეგორიულად მოსთხოვეს ტურნირის დატოვება. საოცარია – როცა ალერგიულმა ავადმყოფობამ გაიარა, ქეთევანმა მყისვე აღიდგინა ძალა, მაგრამ ეს ხომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მოხდა.

● ***კარგი, დამარწმუნეთ. გურიელი?***

– აქ მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ნინო, ფაქტობრივად, უკანასკნელ მომენტში დაუშვეს შეჯიბრებაში. ასეთი სერიოზული, უმნიშვნელოვანესი ტურნირისათვის კარგა ხნით ადრე უნდა მოემზადო. ამის დრო აღარ იყო, ისე, ექსპრომტად თამაში კი აღარ გამოვიდა.

● ***არახამია? მანაც ხომ საკმაოდ ცუდად ითამაშა?***

– ქეთევან არახამია ამ ტურნირში სტრატეგიული თამაშის თვალსაზრისით ბევრს ჩამოუვარდებოდა, უამისოდ კი ძნელია მაღალი ადგილებისათვის, ამ შემთხვევაში, პირველი ან მეორე ადგილისათვის ბრძოლა. თუ პოზიცია გამწვავდა ან შეტევაზე გადასვლის საშუალება მიეცა, ქეთინო, იცოცხლეთ, სახიფათო ხდება. აი, მანევრულ თამაშში კი... ერთი სიტყვით, ძველი ნაკლი არ გამოსწორებულა. ამას მუდმივი ცაიტნოტიც დავუმატოთ.

● ***ახლა ჩვენს მთავარ ფავორიტებზე.***

– მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანზე. ისინი, შეიძლება ითქვას ტურნირისათვის კარგად იყვნენ მომზადებული. მაია კმაყოფილია საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილთან თანამშრომლობით, რომელთანაც მუშაობას კვლავაც გააგრძელებს, ნანას კი ისეთი შესანიშნავი სპეციალისტი ამზადებდა, როგორიც ჩელიაბინსკელი დიდოსტატი ევგენი სვეშნიკოვია. დიდი იმედი გვქონდა, რომ ორეულში ერთ-ერთი მათგანი მაინც მოხვდებოდა, ვინ იცის, შეიძლება ორივესაც წარმატებით ეთამაშა. მაია დიდხანს ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ არახამიასთან წაგების შემდეგ მისი შედეგები მკვეთრად გაუარესდა. ეტყობა დაიღალა, ძალა არ ეყო. მიზანთან ყველაზე ახლოს ნანა იოსელიანი იყო. მან ხომ მეტად მნიშვნელოვანი პარტია მოუგო ალისა გალიამოვას, უკანასკნელ ტურში სრულიად მოსაგები პოზიცია ჰქონდა სიე ჟუნთან, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, ერთ სვლაში იგებდა, რის შემდეგ მეორე ადგილზე გადიოდა. ეს უკვე უიღბლობა იყო, უმძიმესი შეცდომა მოუვიდა და წააგო. ერთი სიტყვით, ამჯერად, მეტნაკლებად, ყველა ჩვენს დიდოსტატს მარცხი მოუვიდა. მიზეზები, ცხადია, სხვადასხვაა.

● ***გამარჯვებულებზე რაღას იტყვით?***

– მათ ერთი რამ აქვთ საერთო. როგორც ალისა გალიამოვა, ისე სიე ჟუნი, უპირველეს ყოვლისა, დიდი მებრძოლები არიან. თვით მძიმე პოზიციებშიც კი არ ჰკარგავენ ოპტიმიზმს, ბოლომდე თამაშობენ და, როგორც ვნახეთ, უმართლებთ კიდეც. ისე კი, მათი წმინდა საჭადრაკო ღირსება-ნაკლოვანებები ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი.

● ***ახლა გალიამოვასა და სიე ჟუნს ერთმანეთთან დამატებითი მატჩი მოელით მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან შეხვედრის უფლებისათვის. ვის უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა?***

– ძნელი სათქმელია.

● ***და კიდევ ერთი. მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარს ამ წოდების მოპოვების შემდეგ არსად უთამაშია, თუმცა უკვე ორი წელი გავიდა. საზღვარგარეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომელიც ჩვენც გადმოვბეჭდეთ – ჟუჟა აღარ აპირებს მსოფლიო ჩემპიონობის დაცვას, იგი მთლიანად არის დაკავებული თავისი საჭადრაკო სკოლის საქმეებით, რომელიც ნიუ-იორკში გახსნა თავისი ფილიალებით. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?***

– დიახ, ორი წელია არსად უთამაშია, თავისებური „ფიშერის ვარიანტი“ მეორდება. მაგრამ ჟუჟა პოლგარს ოფიციალურად უარი არ უთქვამს მსოფლიო ჩემპიონობის დაცვაზე, ყოველივე ეს წინასწარ ვარაუდად ჩავთვალოთ. თუ გალიამოვა და სიე ჟუნი ერთმანეთს ზაფხულში უნდა შეხვდნენ, მატჩი ჟუჟა პოლგარსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის ან წლის მიწურულში დაინიშნება, ან 1999 წლის დასაწყისში. მაგრამ კიდევაც რომ მოინდომოს თამაში, რას გააწყობს პოლგარი ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, იგი ხომ ძალას ჰკარგავს. მაგრამ, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, უახლოეს თვეებში ყველაფერი გამოირკვევა.

# ჩვენი მოჭადრაკეები საზღვარგარეთ

**გრონინგენში** (ჰოლანდია) ჩატარდა დიდი საერთაშორისო ღია ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. მასში ბევრი ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. ყველაზე უკეთესად ჩვენი მოჭადრაკეებიდან საერთაშორისო ოსტატმა დავით ლობჟანიძემ ითამაშა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და ერთ-ერთ პრიზს დაეუფლა. დიდოსტატებმა ნინო ხურციძემ და მაია ლომინეიშვილმა 6-6 ქულით დაასრულეს შეჯიბრება, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და საერთაშორისო ოსტატმა ანა მათნაძემ — 5-5 ქულით.

**ასევე** 9 ტური გათამაშდა შვებიშგმუნდის (გერმანია) დიდ ღია საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 400 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის არაერთი ცნობილი დიდოსტატი. აქ პირველი ადგილი რუსმა დიდოსტატმა ვლადიმირ კალინიჩევმა დაიკავა, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს. მან 8 ქულა მოაგროვა იმ 5 მოჭადრაკეს შორის, რომლებმაც მე-2-6 ადგილები გაიყვეს, არიან თბილისელები, საერთაშორისო ოსტატები სანდრო დგებუაძე და გია ბაღათუროვი. ისინი გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ. ჩინებულად ითამაშა დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა, რომელმაც 7 ქულით დაასრულა შეჯიბრება და ამდენად, არა მარტო შეჯიბრებაში მონაწილე ყველა ქალს, არამედ, არაერთ ვაჟ დიდოსტატსაც გაასწრო, მეშვიდე-მეთხუთმეტე ადგილები გაიყო და ერთ-ერთი პრიზიც დაიმ[illegible]ურა.

# კარპოვი მხოლოდ ყაიმებს სჯერდება

**ვეიკ-ან-ზეეში** (ჰოლანდია) მიმდინარეობს დიდი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 14 დიდოსტატის მონაწილეობით. მას ფიდეს მე-17 კატეგორია მიენიჭა. მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი, მ[illegible] ამასწინანდელი მეტოქე მსოფლიო პირველობის მატჩზე ვიშვანათან ანანდი, მსოფლიოს №2 მოჭადრაკე რეიტინგის მიხედვით ვლადიმირ კრამნიკი, ვესელინ ტოპალოვი, მაიკლ ადამსი, ბორის გელფანდი, ალექსეი შიროვი, იუდით პოლგარი, ვალერი სალოვი, იან ტიმანი...

6 ტურის შემდეგ კარპოვს უთ[illegible]შვიათესი შედეგი — 6 ყაიმი აქვს. პირველ ადგილზეა კრამნიკი (4,5 ქულა), რომელმაც ჯერ ზედიზედ 4 პარტია მოიგო, მაგრამ მეხუთეში დამარცხდა შიროვთან. ანანდი 4 ქულით მეორე ადგილზეა, მეექვსე ტურში დამარცხდა იუდით პოლგართან. 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს ადამსმა, გელფანდმა, ტიმანმა და პოლგარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ახალკაცის ხსოვნას



ნოდარ ახალკაცი (№ 10) თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშის წლებში.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

## მას ყველა იცნობდა

ნოდარ ახალკაცს მთელი საქართველო იცნობდა.

დიახ, ქვეყნის ყველა მოსახლე, ღრმად მოხუცებული კაცების, ძუძუთა ბავშვებისა და იმ ქალების გარდა, ვისაც ფეხბურთის არაფერი გაეგება.

თუმცა ასეთები ჩვენში ალბათ სანთლით საძებნელია, რადგან ქართველთა თანდაყოლილი თვისება ფეხბურთის გულშემატკივრობაა...

ისეც უნდა ითქვას, რომ საქართველოში კი იცნობდნენ ბატონ ნოდარს, მაგრამ თვითონ ნოდარი რასაკვირველია, არ იცნობდა ყველას, ვინც მას პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა.

ჩემი დამოკიდებულებაც ბატონ ნოდარისადმი ასეთი იყო: მას შემდეგ, რაც მისი სახელი ქართულ ფეხბურთს დაუკავშირდა, ყოველთვის გამორჩეულად მეცნობოდა და ახლობლად მიმაჩნდა ეს სანდომიანი, ჭკვიანი, მუდამ ჩაფიქრებული ადამიანი, ვისზედაც, ჩვენი ცხოვრების წესის მიხედვით, ათასნაირი ჭორმართალი ვრცელდებოდა. პირადად კი არასდროს არ გამიცვნია ნოდარი, არც მისაუბრია მასთან და არც ჭიქა ღვინო ამიწევია...

და აი ახლა, ათიოდე დღის წინათ, ნოდარ ახალკაცს პირველად შევხვდი სტამბულის აეროპორტში.

ორივენი თბილისისკენ მოვემგზავრებოდით. დავინახე თუ არა ხალხში მისი სახე იმდენად ახლობელი მომეჩვენა, რომ არც დავფიქრებულვარ, გავექანე მისკენ და გადავეხვიე, თან გამოვეცნაურე: მიშა ქვლივიძე ვარ, მეთქი, მწერალი; რაზეც მან ღიმილით მიპასუხა: თქვენ ვინ არ გიცნობთო...

დღეს ჩვენ სამუდამოდ ვემშვიდობებით ამ ყველასათვის ნაცნობ და საყვარელ ადამიანს — ინტელიგენტს, სპორტის უბადლო პროფესიონალს, ქართული ფეხბურთის მოამაგეს.

რას ვიფიქრებდი, თუ ჩვენი ძმური კოცნა სტამბულის აეროპორტში, მისალმებას კი არა, საუკუნო გამოთხოვებას ნიშნავდა.

ვაგლახ, კიდევ ერთი წავიდა ჩვენგან: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...“

მიხეილ ქვლივიძე,
პოეტი

## სამაგალითო ღვაწლით გამორჩეული

შემოქმედის დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისია ერისთვის. ნოდარ ახალკაცი ნამდვილი შემოქმედი იყო, რომლის ნიჭიერებამ მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფეხბურთი. იგი ჭეშმარიტად ახალი ფენომენი, ახალი კაცი იყო ქართულ სპორტში და თუ ევროპაში 80-იანი წლების დასაწყისში საქართველო როგორც ქვეყანა ბევრმა პირველად გაიცნო, ეს ნოდარ ახალკაცის და მისი შეგირდების დამსახურებაა. მაშინდელი ჩვენი წარმატება მხოლოდ ქართული ფეხბურთის ზეობა როდი იყო: მთელმა ერმა გაითავისა ის გამარჯვება, უფრო გაამაყდა, რწმენა შეიმატა, სხვათა თვალშიც ამაღლდა.

დიუსელდორფში გატანილი ლელო, მანამდე და მას შემდეგ ნოდარ ახალკაცის თავკაცობით მოპოვებული წარმატებები, ოქროს ასოებით შევიდა ქართველი ერის არა მხოლოდ სპორტულ მატიანეში.

ქართული ფეხბურთი დროულად რომ დაადგა დამოუკიდებლობის გზას, ეს ნოდარ ახალკაცისა და მისი თანამოაზრეების შორსმჭვრეტელური გონივრული საქმიანობის ნაყოფია. ფიფა – უეფაში გაწევრიანების შემდეგ, ჩვენმა ეროვნულმა ფედერაციამ უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ამ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებმა სფფ-ს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული არაერთი სიახლე გაიზიარა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მოგებისთვის სამქულიანი დარიცხვის სისტემის დანერგვა. ცხადია, შემთხვევითი არ იყო, რომ ნოდარ ახალკაცი უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრად აირჩიეს. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ დასცალდა ამ უხმაუროდ მოამაგე კაცს. მისი 60 წლის საიუბილეო თარიღმაც, ხომ უხმაუროდ ჩაიარა ამ დღეებში. სფფ-ს მომავალ ყრილობაზე განსახილველად, მისი თაოსნობით მზადდებოდა საქართველოში პროფესიული ლიგის შექმნის საკითხი. სწორედ ამიტომ მოწონებით შეხვდა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას.

... ათიოდე დღის წინ ერთად მოვიარეთ ბელგია, სადაც ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა ჩატარდა. მაინის ფრანკფურტიდან მანქანითაც ერთად გავიარეთ 500 კილომეტრი. გენტში სასტუმროშიც შემოგვიარა უკან ბრიუსელის აეროპორტში დაბრუნებისას. ამხელა გზაზე, ბოლო ხანებში მრავალ ომგადახდილს და ავადმყოფობისგან გაწამებულს, ერთხელაც არ დაუჩივლია საკუთარ თავზე, ერთი საყვედურიც არ დასცდენია სხვისი მისამართით. ასეთი თვისებები ხომ მხოლოდ სულით გაუტეხელ, დიდბუნოვან ადამიანებს ახასიათებთ. და კიდევ ერთი, სხვების მიმართ ყურადღებიანი კაცის დამახასიათებელი ჟესტი – თბილისში დაბრუნებული, ნაშუაღამევს, აეროპორტიდან, ფედერაციის მანქანით მიგვიყვანა სახლამდე.

რამდენიმე დღეში ისევ გზას დაადგა – მოსკოვში გაფრინდა, თანამეგობრობის თასის გათამაშებაზე. ერთდროულად იქ ფიფას გენერალურ მდივანს ბლატერს უნდა შეხვედროდა. აეროპორტიდან მოსკოვში შემავალ სამანქანო გზაზე უმტყუნა გულმა. დიდი შემოქმედები ხშირად კათედრაზე, ლაბორატორიაში თუ კაბინეტში იღუპებიან. ნოდარ ახალკაცის ხვედრიც ასეთი იყო – იგი როგორც იტყვიან, პოსტზე დაიღუპა, იმ საქმეზე ფიქრით წავიდა ამ ქვეყნიდან, რასაც მთელი თავისი ცხოვრება უმაღლესი პასუხისმგებლობით ემსახურა.

მსოფლიო საფეხბურთო სამყარო იზიარებს ქართველი ხალხის დიდ მწუხარებას.

თენგიზ გაჩეჩილაძე



1990 წ. ნოდარ ახალკაცი საქართველოს თასს გადასცემს ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებს



ნოდარ ახლკაცი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი თბილისის ეროვნულ სტადიონზე

ნოდარ ახალკაცის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 29 და 30 იანვარს 16 საათზე; გამოსვენება შაბათს, 31 იანვარს, 14 საათზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 75ა.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობასთან ერთად, ღრმად დამწუხრებულია ქართული ფეხბურთის ყველაზე თვალსაჩინო ხუროთმოძღვრისა და მისი ბალავარის განმტკიცებლის, მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში სახელგანთქმული მოღვაწის

**ნოდარ ახალკაცის**

გარდაცვალებით და ოჯახთან, ყველა დამწუხრებულ ადამიანთან ერთად იზიარებს ამ დიდ ვარამს.

# მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

FRANCE 98
COUPE DU MONDE

## დანია

## სამი ვარსკვლავი

განა შეიძლება შედარებით ნაკლები პოტენციალის მქონე ნაკრებმა, ან, პირდაპირ ვთქვათ, უფრო სუსტმა გუნდმა ისეთ პრინციპულ შეჯიბრებაში, როგორიც ევროპის პირველობაა, ზედიზედ დაამარცხოს ყველა ფავორიტი და გაუგონარ ტრიუმფს მიაღწიოს, გახდეს ჩემპიონი? დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ შეიძლება. მაგრამ როგორ და რანაირად? ამის ახსნა უფრო ფსიქოლოგიის სფეროში უნდა ვეძებოთ, იმ ენთუზიაზმში, რომელიც გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოულოდნელი დაშვების შედეგად დაეუფლა, ე.ი. არაჩვეულებრივი გულუხვი საჩუქრის მიღებით, თუმცა ნურც სპორტულ იღბალს, ანუ, სხვა სიტყვებით, გამართლებას დავივიწყებთ, რომელიც სწორედ გამარჯვებულებს უმართავს ხელს.

დიახ, თუ დანიელები ფეხბურთში რამით ამაყობენ, ეს, უპირველეს ყოვლისა, ევროპის 1992 წლის ჩემპიონობაა, სადაც მათ მონაწილეობის იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდათ. ანდა, რისი იმედი უნდა ჰქონოდათ, როცა შესარჩევ შეჯიბრებაში იუგოსლავიელების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს, ფინალამდე კი თითქმის აღარაფერი რჩებოდა და ივიცა ოსიმი თავის ფეხბურთელებთან ერთად შვეციაში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ერთი სიტყვით, საქმეში ჩაერია პოლიტიკა, იუგოსლავიელთა ნაცვლად შვეციაში დანიელები გაემგზავრნენ და აკი სამშობლოში ჩემპიონებადაც დაბრუნდნენ, ხოლო მწვრთნელი რიჰარდ მელერ-ნილსენი ეროვნულ გმირადაც იქცა. ახლა კი ურიგო არ იქნება, თუ ამ გადამწყვეტი თამაშების შედეგებსაც გავიხსენებთ: ინგლისელებთან 0-0, შვედებთან 0-1, ფრანგებთან 2-1, ჰოლანდიელებთან 2-2 და პენალტების შემდეგ 5-4, ფინალურ მატჩში გერმანელებთან 2-0.

მომდევნო წლების შეჯიბრებებმა დაამტკიცა, რომ ასეთი აღმაფრენა ნაკრებს შეიძლება „სიცოცხლეში ერთხელ" ჰქონდეს, თუმცა არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დანიელები ევროპაში უძლიერესთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. თუმცა დანიაში დღემდე არ არის რომელიმე ევროპული ავტორიტეტის მქონე საკლუბო გუნდი, მაგრამ ნაკრებს ვერაფერს დავუწუნებთ. იგი, როგორც ყოველთვის, ძირითადად ლეგიონერებისაგან არის შედგენილი, რომელთა მომზადების დონე ძალიან მაღალია. რა თქმა უნდა, ისიც საყურადღებოა, რომ ქვეყნის ყველა დროის ნაკრებში არაერთი თანამედროვე ოსტატიც შედის. აი ამ იდეალური ნაკრების ერთ-ერთი ვარიანტი: შმეიხელი, სივაბეკი, მ. ოლსენი, ი. ნილსენი, არნესენი, სიმონსენი, ლერბიუ, მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი, პოულსენი, ელკიარი.



მიქაელ ლაუდრუპი

ითვლება, რომ დანიის ახლანდელი ნაკრები სამ „ვეშაპს" ემყარება, შმეიხელსა და ძმებ ლაუდრუპებს. უკვე რამდენიმე წელია, რაც პეტერ შმეიხელი (1963) მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გოლკიპერად ითვლება. ვისი და, ინგლისელების გაკვირვება მეკარეებით, თუნდაც ბენქსისა და შილტონის შემდეგ, შეუძლებელია. და აი სწორედ ინგლისში შმეიხელი ურყევი ავტორიტეტით სარგებლობს. ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ამდენჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, სხვებთან ერთად, რა თქმა უნდა, შმეიხელის დამსახურებაც არის. უმცროსი ძმა, ბრაიან ლაუდრუპი (1969) დიდი წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა ევროპულ კლუბში, ახლა კი „გლაზგო რეინჯერსის" ერთ-ერთი ლიდერია. მიქაელ ლაუდრუპი (1964) სად აღარ თამაშობდა, მაგრამ პირველ რიგში მაინც „ბარსელონა" და მადრიდის „რეალი" უნდა აღვნიშნოთ. იგი ხანგრძლივად გამოეთხოვებოდა ხოლმე ნაკრებს, საერთო ენას ვერ ნახულობდა მელერ-ნილსენთან. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, უფროსი ლაუდრუპი ამსტერდამის „აიაქსში" თამაშის წარმმართველია და იგივე როლს დიდი წარმატებით დანიის ნაკრებშიც ასრულებს – მას ასაკი არ ეტყობა.

დანია მსოფლიო პირველობის პირველ ევროპულ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა ხორვატიის, საბერძნეთის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, სლოვენიის ნაკრებებთან ერთად. მიზანი ერთი იყო – პირველი ადგილისათვის ბრძოლა, ყოველგვარი დამატებითი შეჯიბრებებისათვის თავის აცილება. პირველ მატჩში ლიუბლიანაში სლოვენიის ნაკრები დიდხანს იგერიებდა სტუმრების შეტევებს, სანამ გვარიანად არ დაიღალა. კაპიტანი მიქაელ ლაუდრუპი კი კვლავინდებურად მახვილგონივრული გადაცემებით ამარაგებდა თავის თავდამსხმელებს. და აი, თამაშის მიწურულში ჯერ ფორვარდმა ალან ნილსენმა, შემდეგ კი ფიზიკურად მეტად ძლიერმა ნახევარმცველმა მიქაელ შიონბერგმა გამარჯვება მოუტანეს დანიელებს – 2-0. ამ მატჩში დანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ოფიციალური დებიუტი ჰქონდა შვედ სპეციალისტ ბო იუჰანსონს. რიჰარდ მელერ-ნილსენმა ჩათვალა, რომ მეტის გაკეთება დანიელებისათვის აღარ შეეძლო და ფინეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.



პეტერ შმეიხელი

მეორე მატჩი კოპენჰაგენში ერთ-ერთ უშუალო მეტოქესთან, საბერძნეთის ნაკრებთან გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო. გადავხედოთ მასპინძლების შემადგენლობას: შმეიხელი, ჰელვეგი, რიპერი, ი. ჰოგი, ლაურსენი, ა. ნილსენი, პ. ნილსენი (გოლდბეკი, 55), ტომსენი, პ. მიოლერი (ს. ანდერსენი, 86), ბ. ლაუდრუპი, მ. ლაუდრუპი (შიონბერგი, 75).

ცნობილი ამბავია, თუ მიქაელ ლაუდრუპს თამაში არ გამოუვა, დანიელების მწყობრი ანსამბლი შეიძლება აირიოს კიდეც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბო იუჰანსონმა გაბედა და გამოცვალა კიდეც, თუმცა მშვენივრად იცის მისი ამბიციური ხასიათი. სამაგიეროდ, მშვენივრად თამაშობდა ბრაიანი. მეორე ტაიმში, როცა ანგარიში თანაბარი იყო – 1-1, სწორედ მისმა გარღვევამ და დარტყმამ მოუტანა ძნელი გამარჯვება მასპინძლებს, რომლებიც ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. მწვრთნელის უკმაყოფილი არც პირველი თამაშით დარჩა და არც მეორით. ამიტომ სტუმრად სპლიტში ხორვატებთან საგრძნობლად გადაახალისა შემადგენლობა: შმეიხელი, ლაურსენი, რიპერი, ი. ჰოგი (შიონბერგი 15), ჰაინცე, ჰელვეგი, ფრანდსენი (დალ-ტომასონი, 70), ა. ნილსენი, ტომსენი, ბეკი (პ. ანდერსენი, 58), ბ. ლაუდრუპი. დავაკვირდეთ – არ თამაშობდა მიქაელ ლაუდრუპი. პირველ ტაიმში ხორვატები განუწყვეტლივ უტევდნენ და ისე ჩანდა, თითქოს საცაა გაარღვევდნენ სტუმრების დაცვით ზღუდეებს ცნობილ ჟურნალ „უორლდ სოკერის" მთავარი რედაქტორი კირ რედნეჯი, რომელიც საერთოდ არ სწყალობს დანიელებს და ყოველთვის დასცინის მათ, წერდა: „დანიელები მინდორზე წმინდა ფორვარდის გარეშე გამოვიდნენ, რაღაც ასეთი უნიკალური სქემის მსგავსი შექმნეს 4+6+0, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შუკერმა გახსნა ანგარიში, ბო იუჰანსონმა ორი თავდამსხმელი გამოიყვანა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ თუ ვინმე უშველიდა სტუმრებს, რომლებიც აშკარად უთმობდნენ მასპინძლებს, ეს ისევ ბრაიან ლაუდრუპი იქნებოდა. მართლაც, 83-ე წუთზე მან შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ამ ამბავს ხორვატების ბოლმიანმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა „უბედური შემთხვევა" უწოდა.. „არავითარ შემთხვევაში არ მეგონა, რომ ბურთი ბადეში აღმოჩნდებოდა. მე ვთვლიდი, რომ ჩვენი დაცვა შეუღწეველი იყო. ლაუდრუპს გოლის გატანაში ძლიერი ქარი დაეხმარა".

ასე იყო თუ ისე, დანიელებმა შეძლეს ძირითადი მეტოქის დამუხრუჭება. მომდევნო მატჩს კოპენჰაგენში რაიმე პრობლემები აღარ შეუქმნია – სლოვენებს ოთხი მშრალი ბურთი გაუტანეს (ა. ნილსენი – 2, პ. პედერსენი, ბ. ლაუდრუპი). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დანიელები უკვე მტკიცედ ლიდერობდნენ. მათ 4 თამაშიდან 10 ქულა ჰქონდათ, ბერძნებმაც ამდენივე მოაგროვეს, მაგრამ 6 მატჩის შემდეგ!

ასეთი შედეგების შემდეგ დანიელები თითქოს ვიღას უნდა შეეჩერებინა, მაგრამ მათ, ეტყობა, ვერ გაითვალისწინეს, რომ ევროპულ შესარჩევ ჯგუფებში, ყოველ შემთხვევაში, იმაში, რომელშიც გამოდიოდნენ, უიმედო აუტსაიდერები არ არსებობდნენ. ვინმე წარმოიდგენდა, რომ ლიდერი სარაევოში ბოსნიისა და ჰერცეგოვენის ნაკრებთან წააგებდა ანგარიშით 0-3? რა იყო ამის მიზეზი? უპირველს ყოვლისა, თვითდამშვიდება, ასეთ მეტოქეს ყოველთვის დავამარცხებთო. მძიმე შეცდომები დაცვაში „ერთხელ ბრძენიც შეცდებაო" – ერთი ბურთი თვით შმეიხელის ნამუსზეც კი იყო. ამას დავუმატოთ ბრაიან ლაუდრუპის გამოკლება ავადმყოფობის გამო, კაპიტან მიქაელ ლაუდრუპის საოცრად უფერული თამაში (აკი 55-ე წუთზე გამოცვალეს კიდეც). ერთი სიტყვით, დანიელებს ვერ ვიცნობდით. ის კი, რომ თამაშებში [illegible] ნეს პირველი ადგილი.

ახლა პირველი ადგილის ბედი კოპენჰაგენის მატჩს უნდა გადაეწყვიტა ხორვატებთან, რომელიც წინა შეხვედრისგან განსხვავებით დანიელებმა შესანიშნავად წარმართეს. აი მათი შემადგენლობა: შმეიხელი, ტობიასენი, შიონბერგი, ი. ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ა. ნილსენი, ფრადსენი, მ. მოლნარი (პ. მიოლერი, 72), მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი (ვიგჰორსტი,82). ამჯერად არსად ჩანდნენ ხორვატების განთქმული თავდამსხმელები შუკერი და ბოკშიჩი. მიქაელ ლაუდრუპმა, ბოლოს და ბოლოს, ითამაშა ისე, როგორც მისგან დანიელი გულშემატკივრები დიდი ხანია



ბრაიან ლაუდრუპი

მოელოდნენ. დანიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3-1, ამასთან, პირველ ტაიმში გოლები გაიტანეს ბ. ლაუდრუპმა, მ. ლაუდრუპმა და მოლნარმა. ახლა ისინი უკვე სამი ქულით უსწრებდნენ ბერძნებს და ოთხით – ხორვატებს, თუმცა, როგორც გაირკვა, არა ჰქონდათ ათენში ბოლო შეხვედრის წაგების უფლება. ამ შემთხვევაში საფრანგეთის საგზურს ბერძნები მიიღებდნენ. 11 ოქტომბრის შეხვედრა მასპინძლების იერიშებით წარიმართა, მაგრამ ამ დღეს შეუდარებელი იყო შმეიხელი. საბოლოოდ ანგარიში არ გახსნილა, თუმცა ერთ მომენტში ფრანგი მსაჯი ვაისიერი იძულებული გახდა თამაში რამდენიმე წუთით შეეწყვიტა – ბერძენმა გულშემატკივრებმა მინდორს მაშხალები დააყარეს.

17 ქულა 8 თამაშის შემდეგ, 5 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება, ბურთების სხვაობა 14-6 – აი, დანიელების საბოლოო შედეგი. მათ ხორვატები ორი ქულით ჩამოიტოვეს.

ბიჭი თორელი

FRANCE 98
INFORMATIONS

## ფინალისტები მზადებას შეუდგნენ

**ინგლისის ნაკრებმა** საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ერთი რეპეტიცია დაგეგმა: ბრიტანელები გამოვლენ მეფე ჰასანის ტურნირზე, რომელიც მაროკოში გაიმართება მაისში. ასპარეზობაში მასპინძელთა გუნდის, მაროკოსა და ინგლისის ნაკრებების გარდა ჩაებმებიან საფრანგეთისა და ბელგიის ეროვნული გუნდები.

**იტალიის ნაკრები** სლოვაკებთან ამხანაგური მატჩისათვის ემზადება. „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ ამ დღეებში უკვე დაასახელა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა შემადგენლობა. ფეხბურთის სპეციალისტებში გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მასში ადგილი ვერ მოეძებნა „ჩელსის" იტალიელ ფორვარდს ჯან-ფრანკო ძოლას. აი, ვის გამოუცხადა ნდობა მალდინიმ: *მეკარეები* – ანჯელო პერუცი, ჯან-ლუიჯი ბუფონი; *მცველები* – ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ჩირო ფერარა, პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა, მორენო ტორიჩელი; *ნახევარმცველები* – დემეტრიო ალბერტინი, სანდრო კოისი, დინო ბაჯო, ლუიჯი დი ბიაჯო, ანჯელო დი ლივიო, რობერტო დი მატეო, ფრანჩესკო მორიერო; *თავდამსხმელები* – ენრიკო კიეზა, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინსგი, ფაბრიციო რავანელი.

## იან რაიტი იმედს არ ჰკარგავს

**ინგლისის ფეხბურთში უკვე იყო ერთი დიდი ფეხბურთელი ამნაირი გვარით – ნაკრების კაპიტანი, ცენტრალური მცველი და „ასიანთა კლუბის" წევრი ბილ რაიტი. ახალი რაიტი არც ისე ახალია – კარგა ხანია ინგლისის პრემიერ-ლიგაში თამაშობს და საუკეთესო შედეგებიც აქვს. ახლა იგი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება. აი, რამდენიმე ნაწყვეტი იან რაიტის საუბრიდან ლონდონის გაზეთ „სანის" კორესპონდენტთან.**

● *თქვენ საფრანგეთში გამგზავრების იმედი გაქვთ?*

— საკმაო საფუძველიც. ძირითად თავდამსხმელებად ახლა ითვლებიან შირერი და შერინგემი, მაგრამ მეც მაქვს რამდენიმე მატჩში მონაწილეობის იმედი.

● *როგორ გესახებათ ინგლისის ნაკრების პერსპექტივები მსოფლიო ჩემპიონატში?*

— პირველ სამეულში მოხვედრისათვის ვიბრძოლებთ.

● *ინგლისის ნაკრებმა ხომ შარშან ზაფხულს საფრანგეთში სარეპეტიციო ოთხთა ტურნირი მოიგო.*

— დიახ, ასე ვთქვათ, ვადაზე ადრე. მე ბედნიერი ვარ, რომ ამ გამარჯვებაში ჩემი წვლილიც იყო: კარგად გამომივიდა თამაში შეჯიბრების ორგანიზატორებთან – ფრანგებთან. გოლიც გავიტანე და ჩემი ჩაწოდებით პარტნიორსაც გავატანინე ბურთი.

● *აი, ინგლისის ჩემპიონი კი ამ სეზონში ეტყობა ვერ გახდებით (34 წლის იან რაიტი ლონდონის „არსენალში" თამაშობს).*

— ეტყობა, ასეა. „მანჩესტერ იუნაიტედი" 11 ქულით გვისწრებს, ჩვენ კი ჯერჯერობით მეხუთე ადგილზე ვართ. როგორც ჩანს, ჩემპიონის წოდება ამჯერადაც ხელიდან წაგვივა.

● *მას შემდეგ, რაც ბესტინის რეკორდი გააუმჯობესეთ (ბესტინმა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ 156 გატანილი გოლით დაამყარა „არსენალის" საკლუბო რეკორდი), თქვენ ცოტა გოლის გატანა დაიწყეთ, ახალი რეკორდის დამყარებასაც საკმაოდ დიდი დრო მოანდომეთ.*

— რაც შეეხება იმას, რომ ამ ბოლო ხანებში ცოტა გოლი გამაქვს, ეს დროებითი მოვლენაა.

● *ავი ენები კი ამბობენ, ასაკის ბრალიაო...*

— ისინი სწორი არ არიან. ჩემს დაგვიანებულ დებიუტს მეორე მხარეც აქვს: კარგად შემოვინახე თავი და უფრო ახალგაზრდა პარტნიორებზე უარესი არა ვარ.

● *თუკი ბოლო ხანებში „არსენალს" ჩემპიონატში ნაკლებად უმართლებს, სამაგიეროდ, საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატებები აქვს.*

— ორჯერ გავედით თასების თასის ფინალში. 1994 წელს მოვუგეთ „პარმას" – 1-0, ერთი წლის შემდეგ კი წავაგეთ „სარაგოსასთან" – 1-2 დამატებით დროში. სამაგიეროდ, იმ გათამაშებაში რეკორდი დავამყარე ზედიზედ 7 მატჩში. გოლი გამქონდა, ერთხელ – ორიც კი, აი ფინალში კი ვერ გავიტანე.

● *ინგლისში ხშირად ტარდება გულშემატკივრების გამოკითხვა: ვინ არის ლიგის ყველაზე სიმპათიური, ყველაზე უსიამოვნო მოთამაშე. აი „ცუდი ბიჭების" ლიდერი თქვენა ხართ, მხოლოდ გასქოინი გისწრებთ.*

— ტემპერამენტით ქოლერიკი ვარ, ხშირად თავშეუკავებელი, ისეთ რამეს ჩავიდენ, რომ მერე ხშირად ვნანობ.

● *მაგალითად, აგინებთ მსაჯებს, აფურთხებთ მეტოქეებს...*

— დიახ, ასეც მომხდარა. შემდეგ ბოდიშს ვიხდიდი, შემდეგ სასჯელს მაძლევდნენ. და მაინც სირცხვილის გრძნობა მაქვს.

## ფრანც ბეკენბაუერი: გერმანელთა შანსები მიზერულია

„კაიზერ ფრანცი“ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჟურნალისტურ წრეებში მის აზრებს დიდი ფასი აქვს, ამიტომაა იგი მასმედიის მუდმივი ყურადღების ცენტრში. დღეს გთავაზობთ ბეკენბაუერის ბოლო ინტერვიუს, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ „პრიმაში“ ევრო-2000-ის კენჭისყრის შემდეგ.



● *ჰერ ფრანც, შარშან ნოემბერში თქვენ ხელმეორედ აგირჩიეს მიუნხენის „ბაიერნის“ კლუბის პრეზიდენტად. ამავე დროს მას შემდეგ, რაც ჟოაო აველანჟმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1998 წლის ივნისში დატოვებს ფიფას პრეზიდენტის პოსტს, ბევრი მიგიჩნევდათ მის მემკვიდრედ. თუ გულში მსოფლიოს საფეხბურთო მმართველობა გედოთ, რატომ დათანხმდით კლუბში მოღვაწეობას?*

— საოცარი ხალხი ხართ ჟურნალისტები. როდის, რომელ ინტერვიუში განვაცხადე, რომ მსურს ფიფას პრეზიდენტობა? კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გავიმეორებ, ჩემი კანდიდატურის წამოყენებას ამ პოსტზე არ ვაპირებ. სხვა გეგმები მაქვს, რომელიც ჩემს კლუბს „ბაიერნს“ უკავშირდება.

● *რაკი ასეა, ჯერ „ბაიერნზე“ ვთქვათ, ამბობენ, თქვენ ძირეული ცვლილებების გატარებას მოჰკიდეთ ხელი.*

— დიახ, ჩემი ინიციატივით კლუბის სააქციო საზოგადოებად გადაკეთებას მოვკიდეთ ხელი, თუმცა უკანასკნელი სიტყვა გერმანიის საფეხბურთო კავშირზეა. შემდეგი ნაბიჯი, რომლის გადადგომასაც ვაპირებთ, უკვე აქციების ბირჟაზე გადატანაა. აქედან შემოსული თანხით ახალი სტადიონის აშენებას ვაპირებთ, რადგან ამჟამინდელი ოლიმპიური სტადიონი, სადაც „ბაიერნი“ თამაშობს და რომელიც მიუნხენის გარეუბანში მდებარეობს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. მისი შენახვა კლუბს ძალიან ძვირი უჯდება. ჩანაფიქრის ხორცშესხმას მომავალი წლიდან დავიწყებთ. უკვე შევხვდით ქალაქის მერ კრისტიან უდეს და შეთანხმებასაც მივაღწიეთ.

● *„კაიზერ ფრანც“, ყოველივე ამის გაკეთება, ალბათ, არ გაგიჭირდებათ — რაც მიზნად დაგისახავთ, ყველაფრისთვის მიგიღწევიათ: ჯერ ფეხბურთელის რანგში გახდით მსოფლიო ჩემპიონი, შემდეგ მწვრთნელმაც იგივეს მიაღწიეთ, მერე პრეზიდენტად ყოფნისას „ბაიერნი“ ჩემპიონიც გახადეთ და უეფას თასის მფლობელიც.*

— რასაც მივაღწიე, ჩემი შრომითა და გარჯით; ღმერთმა თუ დამაცალა, ფეხბურთის სასიკეთოდ კიდევ ბევრს გავაკეთებ.

● *მოდით ახლა „საერთაშორისო საკითხებზეც“ გადავიდეთ. თქვენი აზრით, ვინ გახდება საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესი გუნდი?*

— შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ფავორიტად ინგლისი მგონია. მას შემდეგ, რაც გუნდს გლენ ჰოდლი ჩაუდგა სათავეში, ნაკრებში სასიკეთო ცვლილებები მოხდა.

● *კი, მაგრამ ბრაზილიელები?*

— ზაგალოს გუნდი ძლიერია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა მეტად გაუჭირდება, რადგან ინგლისელთა გარდა, ისეთი მოწინააღმდეგეები ეყოლება, როგორიც საფრანგეთი და იტალიაა.

● *ჰერ ფრანც, ფავორიტებში გერმანელები არ დაგისახელებიათ.*

— გერმანელთა შანსები საფრანგეთში მიზერულად მიმაჩნია. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ F ჯგუფში ჩვენ კი არა, იუგოსლავია გავიდეს. ნუ დაივიწყებთ, რომ ბალკანელები მსოფლიოში ყველაზე სწრაფად პროგრესირებად გუნდად მიაჩნიათ.

● *ახლა ევრო-2000-ზეც ვთქვათ. იქაც მიგაჩნიათ, რომ გერმანელებს ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა გაუჭირდებათ?*

სამწუხაროდ ასეა. ბელგია-ჰოლანდიაში ფავორიტად კვლავ ინგლისი იქნება. ერთობ მაღალი იქნება ესპანელების და ჰოლანდიელების შანსები.

● *ამ ბოლო ხანს გერმანელებისთვის მეტად მტკივნეულია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხიც.*

— როგორც ცნობილია, ევროპული ქვეყნებიდან ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზიას გერმანია და ინგლისი აცხადებდნენ. გახსოვთ, ალბათ, შარშან ოფიციალურად წამოვაყენე წინადადება, რათა ორივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს მოელაპარაკათ ჩემპიონატის ერთობლივად მასპინძლობის თაობაზე, მაგრამ ინგლისელების მხრიდან ამას უკურეაქცია მოჰყვა. ბრიტანელთა მხრიდან ეს ჯიუტობა მეტად არაკორექტულია. თუ ასეა, მაშინ კატეგორიულად ვაცხადებ — ევროპა ერთი კანდიდატით უნდა წარსდგეს ამ ტურნირის ჩასატარებლად. ბოლოს და ბოლოს იუჰანსონმა გადაწყვიტოს, ვის აძლევს უპირატესობას. სამწუხაროდ, იგი ორმაგ თამაშს ეწევა. ამასობაში დავა გერმანიასა და ინგლისს შორის გრძელდება და მასპინძლობა ალბათ, სხვა კონტინენტის ქვეყანას ხვდება. ასე, ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ ადვილი შესაძლებელია მასპინძელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გახდეს. ამით უეფა კარგ გაკვეთილს მიიღებს და ღირსიც იქნება, რადგან იგი არჩევანს არ აკეთებს და არც ერთ ქვეყანას უპირატესობას არ ანიჭებს.

## ბუნდესლიგა

### ცვლილებები საზამთრო პაუზის დროს

***30 იანვარს მთავრდება ბუნდესლიგის ხანმოკლე არდადეგები, კლუბებში ცვლილებების დრო, როცა შემადგენლობები განმტკიცდა, ზოგან კი დაშავებულები გამოჯანმრთელდნენ და მწყობრში ჩადგნენ. გთავაზობთ მიმოხილვას, რომელიც ჟურნალ „კიკერში“ გამოქვეყნებულ მასალებს ემყარება.***

ახლა ბუნდესლიგის 18-ვე კლუბს ჩატარებული აქვს 20-20 მატჩი. შეიძლება ვილაპარაკოთ ჩემპიონობის პრეტენდენტებზე, იმ გუნდებზე, რომლებსაც ევროპულ თასებზე გამოსვლა სურთ და საკმაოდ დიდ ჯგუფზე, რომელიც პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის.

„კაიზერსლაუტერნმა“ (45 ქულა, ბურთები 42-25) მიიწვია ორი უნგრელი ფეხბურთელი ლაიოშ სუში (ბუდაპეშტის „უიპეშტიდან“, რომელშიც 700 ათასი მარკა გადაიხადა) და იანოშ ჰრუთკა (ბუდაპეშტის „ფერენცვაროშიდან“, 600 ათასი მარკა). მწვრთნელ ოტო რეჰაგელს განსაკუთრებით მეკარე სუშის იმედი აქვს, რადგან ამ პოსტს თავის გუნდში უსუსტესად თვლიდა. ახალ მეკარეზე „მეფე ოტომ“ თქვა, რომ უნგრელი სწორედ ისეთია, როგორიც მას უნდოდა. აქამდე იგი დროდადრო უჩიოდა ანდრეას რაინკეს, ხოლო მრავალნაცადი ჩეხი მეკარე პეტერ კოუბა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა, და ექნება ძირითად შემადგენლობაში გამოსვლის პრეტენზია. 31 იანვარს „კაიზერსლაუტერნი“ სტუმრად თამაშობს „შალკე 04-თან“.

არის ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტი — მიუნხენის „ბაიერნი“ (41 ქულა, 43-25), რომლის მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, ცხადია, ჯერჯერობით იმედს არ ჰკარგავს. გუნდში რაიმე დიდი ცვლილება არ არის. ორი მოთამაშე შედარებით მცირე თანხის ფასად დაუთმეს აუტსაიდერ „კიოლნს“. 31 იანვარს „ბაიერნი“ მიიღებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“.

ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი, თუ რაიმე მეტად მოულოდნელი ამბები არ მოხდა, სულ ამ ორი კლუბით შემოიფარგლება, მაგრამ ევროპულ თასებზე გამოსვლა ბევრს სურს.

მესამე ადგილზე მყოფმა „შტუტგარტმა“ (35 ქულა, 40-28), რომელიც უჩიოდა შუა ხაზზე მაღალი კლასის განაპირა ნახევარმცველის არყოლას, ესპანურ „რეალ ოვიედოდან“ 1 მილიონ მარკად იყიდა მაკედონიის ნაკრების ფეხბურთელი მირკო სტოიკოვსკი. მწვრთნელი იოგი ლიოვი კმაყოფილია და შემდეგში აპირებს რამდენიმე ვეტერანის შეცვლას, რომელთა კარიერა დასასრულს უახლოვდება.

ჩვენი ძველი ნაცნობი, ლევერკუზენის „ბაიერი“ ამჟამად მეოთხეა (34 ქულა, 40-23). როგორც მიმომხილველი ოლივერ ბიტერი ხუმრობს, გუნდს უკვე ჰყავს ორი „პატი და პატაშონი“ (ძველი ფილმების გმირები), ამასთან, პირველი ჰოლანდიელი ერიკ მეიერი (1,89 მეტრი) გახლავთ, მეორე კი 20 სანტიმეტრით უფრო დაბალი დანიელ იან ჰაინცე. ახლა გუნდს დაემატა ადამ ლედვონი (კატოვიცეს გკს-დან) და ბენტ-ანდრე სკამელსრუდი (ტრონჰაიმის „როზენბორგიდან“). ადამ ლედვონი 23 წლის ნახევარმცველია, პოლონეთის ნაკრებში თამაშობს. როგორც ლევერკუზენელთა მწვრთნელი კრისტოფ დაუმი ამბობს, ამ მეტად ნიჭიერ ფეხბურთელს ჯერ კიდევ 1994 წლიდან ადევნებს თვალს. ნორვეგიელმა კი დაცვა უნდა გააძლიეროს.

მეხუთე ადგილზე მყოფ „შალკე 04“-ში (32 ქულა, 23-18) არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არც არავინ დაუმატებიათ, არც არავინ გაუყიდიათ. ყველა დაშავებული გამოჯანმრთელდა, ისე რომ, კლუბში ოპტიმისტური განწყობილებაა და გელზენკირხენელები საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას აპირებენ.

როსტოვის „ჰანზას“ (28 ქულა, 30-27), „დუისბურგს“ (28 ქულა, 25-25), ბრემენის, „ვერდერს“ (28 ქულა), 24-30) და „ვოლფსბურგს“ (27 ქულა, 27-30) ჯერჯერობით ზურგიდან არავინ ემუქრებათ, არც თვით აქვთ დიდი ამბიციები. რაიმე არსებითი ცვლილებები ამ კლუბებში არ მომხდარა. „დუისბურგში“ ჩაირიცხა ალექსანდრ პოპოვიჩი ტირასპოლის „ტილიგულიდან“, მოლდავეთის ნაკრების ფეხბურთელი, რომელშიც 100 ათასი მარკა გადაიხადეს. „ვერდერს“ შვეიცარიის ქ. ნევშატელის „ქსამაქსიდან“ გადმოსული 30 წლის ადრიან კუნცის დიდი იმედი აქვს, რომელსაც პრესა კლასიკურ კონტრ მოიერიშე მოთამაშეს უწოდებს. „ბრემენელებმა არც კი იციან, როგორი კლასის მოთამაშე შეიძინეს“ — ასე თვლის „კიკერის“ კორესპონდენტი შვეიცარიაში რიხარდ შტოფელი. ადრიან კუნცი (არ ავურიოთ გერმანიის ნაკრებში მოთამაშე მოგვარეში) შვეიცარიის ნაკრებში გამოდის, მასში ერთი მილიონი მარკა გადაიხადეს.

აი, თუ სალაპარაკო რამ არის ბუნდესლიგაში, ეს ევროპის ჩემპიონების ლიგაში გამარჯვებული დორტმუნდის „ბორუსიის“ შედეგებია — მეათე ადგილი, 25 ქულა, 33-30. ნევიო სკალას მთავარი პრობლემა წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფის ტრავმაა. 500 ათასი მარკა გადაიხადეს გერმანიის ნაკრების ყოფილ ცენტრალურ მცველ მანფრედ ბინცში, რომელიც იტალიურ „ბრეშიაში“ თამაშობდა ნორვეგიულ „ლილესტრიომიდან“ გადმოვიდა სტაინარ პედერსენი. 30 იანვარს „ბორუსია“ სტუმრად ითამაშებს „ბოხუმთან“. ვთქვათ ისიც, რომ ევროპის №1 გუნდი საკმაოდ ახლოსაა სახიფათო ზონასთან, თუმცა, რა თქმა უნდა, „ბორუსიას“ ამ მხრივ არ შეიძლება რამე ემუქრებოდეს.

ბერლინის „ჰერტას“ ასევე 25 ქულა აქვს (25-33). იქ თამაშს დაიწყებს ნაკრების ყოფილი მოთამაშე ანდრეას ტომი, რომელიც გლაზგოს „სელტიკიდან“ 800 ათასი მარკის ფასად გადმოიყვანეს. „კარლსრუეში“ (მე-12 ადგილი, 24 ქულა, 32-38) იაპონიის „ურავა რედ დიამონდსიდან“ ჩამოვიდა ნაკრების ყოფილი წევრი, ვეტერანი გვიდო ბუხვალდი.

6 გუნდს ბუნდესლიგის დატოვება ემუქრება. ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით. სატურნირო ცხრილში შეიძლება დიდი ცვლილებები მოხდეს. მენხენგლადბახის „ბორუსიას“ (22 ქულა, 34-38), რაიმე საყურადღებო ცვლილება არ განუცდია. ბილეფელდის „არმინიამ“ კი ლევერკუზენის „ბაიერიდან“ შეიძინა რენე რიდლევიცი, ბულგარეთის ცსკა-დან (სოფია) ადალბერტ ზაფიროვი. მას ასევე 22 ქულა (25-32) აქვს. „მიუნხენ-1860“-ს 21 ქულა (22-34). სხვათა შორის, მიუნხენელებმა ბევრი რამ გააკეთეს ლიგაში დასარჩენად. ფრანგული „რენიდან“ გადმოიყვანეს ბერნდჰოფში, „ოსერიდან“ — ავსტრალიის ნაკრების მოთამაშე ნედ ზელიჩი, „მაინციდან“ — აბდერ რაჰიმ ქუაკლი (მაროკოს ნაკრების მოთამაშე), სოფიის „ლევსკიდან“ — ხრისტო იოვოვი.

აი, ვინ არის ბოლო სამეულში: 16. „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (20 ქულა, 25-32). „ბოხუმი“ (20 ქულა, 23-32), „კიოლნი (20 ქულა, 32-45). „ჰამბურგიდან“ წავიდა არგენტინელი როდოლფ კარდოსა (გადავიდა ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიოსში“), რომელიც ორიოდე წლის წინ ბუნდესლიგაში დიდ წარმატებებს აღწევდა.

ბიჩი თორელი

## მათიას ზამერი და „კიკერი“

**1996 წელს მათიას ზამერი ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა ინგლისში, სადაც გერმანიის ნაკრების კაპიტანი იყო, შემდეგ კი ევროპის №1 ფეხბურთელადაც აღიარეს. ის რა სიმბოლური ნაკრები იქნებოდა, მათიას ზამერი რომ არ შეეყვანათ. მაგრამ აღმართს ხომ თავდაღმართი მოსდევს. გამოჩენილი ოსტატი არაერთხელ მძიმედ დაშავდა, მხოლოდ 1997 წელს მარცხენა მუხლზე 5 ოპერაცია გადაიტანა. გასაგებია, ნაკრები მის გარეშე თამაშობდა, დორტმუნდის „ბორუსიაშიც“ ძალზე იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე. ყოველივე ამის მიუხედავად, ზამერს იმედი აქვს, რომ აღიდგენს ადრინდელ მზადყოფნას და მსოფლიოს ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას. მას ესაუბრება პოპულარულ ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტი.**

● *როგორ გრძნობთ თავს, მათიას?*

— ახლა უკვე გაცილებით უკეთესად. მუხლი გამიმაგრდა. რა თქმა უნდა, ეიფორიის საფუძველი არა მაქვს, მაგრამ ყველაფერი კარგად არის, საჭირო მიმართულებით მიდის.

● *სად გაიარეთ სარეაბილიტაციო პერიოდი?*

— ბავარიულ კლინიკაში, რომელიც ტბასთან ულამაზეს ადგილზეა. მუხლს ყოველდღიურად ვავარჯიშებდი, რათა კუნთებს ადრინდელი სიმაგრე ჰქონოდა. მინდა იმედი მქონდეს, რომ ღვიძლიც აღარ გამიმიზეზიანდება.

● *გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის იმედი ხომ არ დაგიკარგავთ?*

— რა თქმა უნდა, არა! ძალიან მინდა საფრანგეთში ვითამაშო. რაც მალე გამოვჯანმრთელდები, მით უფრო მეტი დრო დამრჩება ასეთი საპასუხისმგებლო ტურნირისათვის მოსამზადებლად. ამისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ. იმედი მაქვს, ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ შემიშლის ნაკრებში გამოსასვლელად.

● *ზოგი სკეპტიკოსი თვლის, რომ გერმანიის ნაკრები საფრანგეთში ვერაფრით გამოიჩენს თავს, რახან ბევრი ფეხბურთელი ძალზე ხანშიშესულია.*

— როდის აქეთ გახდა გამოცდილება უარყოფითი მაჩვენებელი? თქვენ რა, გირჩევნიათ მსოფლიო ჩემპიონატზე ყმაწვილებმა მიიღონ მონაწილეობა? არა, ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს, მშვენიერი მოთამაშეები, როგორც ვეტერანები, ისე ახალგაზრდებიც. დარწმუნებული იყავით, ბერტი ფოგტსის გუნდი ზაფხულში სრული ძალით ამოქმედდება.



● *წინასწარ ჯგუფში თქვენი მეტოქეებია იუგოსლავიის, აშშ-სა და ირანის ნაკრებები. რას იტყვით მათ შესახებ?*

— ცხადია, იოლი თამაშები არ გველის. ასეთი უმაღლესი დონის შეჯიბრებებში სუსტ მეტოქეს ვერ ნახავ. მაგრამ თუკი სათანადო გონებრივი და სულიერი განწყობილება გვექნება, ოპტიმალური მზადყოფნა, მაშინ შევძლებთ პირველი სამი ოპონენტის დამარცხებას და მსოფლიო ჩემპიონატზეც ხელწამოსაკრავი არ ვიქნებით.

● *ახლა დორტმუნდის „ბორუსიასაც“ შევეხოთ. 20 ტურის შემდეგ იგი, ჩემპიონთა თასის მფლობელი, მხოლოდ მეათე ადგილზეა, ლიდერ „კაიზერსლაუტერნს“ კი მთელი 20 ქულით ჩამორჩება. რა არის, თქვენი აზრით, ასეთი სავალალო ვითარების მიზეზი?*

— ჯერ ერთი, გუნდი ორ ფრონტზე იბრძოდა — ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში, სადაც როგორც მოგეხსენებათ, მეოთხედფინალში გავიდა. გარდა ამისა, ჩვენთან ხომ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი — ოტმარ ჰიტცფელდი, რომელიც „ბორუსიის“ სპორტული დირექტორი გახდა. იგი იტალიელმა ნევიო სკალამ შეცვალა. ერთმანეთთან შესაჩვევად საჭირო იყო გარკვეული დრო. სკალა გამოჩენილი მწვრთნელია, ახლა საქმეები გაცილებით უკეთესადაა, რასაც გუნდის შედეგებიც გვიჩვენებს საერთაშორისო ასპარეზზე, მაგალითად, დეკემბერში მიღწეული წარმატება საკონტინენტთაშორისო თასზე.

● *მაპატიეთ, მაგრამ ამის შემდეგ არ იყო, რომ დორტმუნდელებმა ვერ შეძლეს სუპერთასის პირველ მატჩში წარმატებით ეთამაშათ ესპანურ „ბარსელონასთან“ და წააგეს — 0-2?*

— მიაქციეთ ყურადღება იმ ამბავს, როგორი შემადგენლობით თამაშობდა მაშინ „ბორუსია“? მას ხომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების ნახევარიც კი არ ჰყავდა. ისე კი, საპასუხო შეხვედრაც მოგველის ჩვენთან, მარტში. იმედი მაქვს, რომ „ბარსელონას“ წინააღმდეგ უკვე სხვა, უფრო მძლავრი გუნდი ითამაშებს.

● *როგორც ცნობილია, თქვენი გუნდის ხელმძღვანელობამ იტალიის „ბრეშიიდან“ მიიწვია ვეტერანი მანფრედ ბინცი, რათა სწორედ თქვენს პოზიციაზე ეთამაშა. თქვენ კი, როგორც ეტყობა, ეს არ მოგეწონათ.*

— თქვენ მთლად სწორად არ მსჯელობთ. შეურაცხყოფილად თავი იმიტომ კი არ ვიგრძენი, რომ ბინცი გუნდში მიიწვიეს, არამედ, უფრო იმიტომ, რომ ამის შესახებ არაფერი მითხრეს. ეტყობა, მიანც უნდა გავეფრთხილებინე ახალი მოთამაშის მოწვევის თაობაზე, მაგრამ ეს არ მომხდარა.

# ნაგანო-98

## პირის ჩასატკბარუნებელი თეფშები

ოთხი წლის წინათ, ლილეჰამერში, ზამთრის თამაშებზე, მასპინძლებმა სტუმრებს კარტოფილისაგან დამზადებული თეფშები შესთავაზეს. წლევანდელი თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ნორვეგიელთა დაჩრდილვა გადაწყვიტეს: რაკი ნაგანოს პრეფექტურა ვაშლითაც არის განთქმული, იაპონელებმა განიზრახეს ოლიმპიელები ამ სასარგებლო ნაყოფისაგან დამზადებული თეფშებით ჰკვებონ. ვაშლი, მოგეხსენებათ, პრაქტიკულად ყველას უყვარს და კარტოფილისაგან განსხვავებით, არ ასუქებს...

## ხუთგზის ჩემპიონი ყოყმანობს

1994 წელს ლილეჰამერში იტალიელმა მოთხილამურე ქალმა მანუელა დი ჩენტამ ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი მოიპოვა.

— რაც წლები გადის, სულ უფრო ვხვდები, რომ ოლიმპიურ ლილეჰამერში მიღებული 5 ჯილდო ისეთი მიღწევაა, როგორსაც ველარ გავიმეორებ, — ამბობს იგი; როგორც ჩანს, ერთწლიანმა ავადმყოფობამ და დაბალმა სპორტულმა შედეგებმა 35 წლის ხუთგზის მედალოსანი პესიმისტურად განაწყო. მანუელა ფიქრობს, რომ გამოსვლების მოტივაცია დაკარგა და ყოყმანობს გამოვიდეს თუ არა ნაგანოს თამაშებში.

**უხუცესები**

## უკვდავი ოლიმპიელი

სლოვენიაში ცხოვრობს ერთი გასაოცარი კაცი, სახელად და გვარად ლეონ სტუკელი. გასაოცარი იმიტომ, რომ ცოცხალ ოლიმპიელთაგან უხუცესია და... ოლიმპიადებზე კვლავ დადის როგორც საპატიო სტუმარი, არადა, წლეულს, 12 ნოემბერს, 100 წლისა გახდება!

ლეონმა 10 წლისამ დაიწყო სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობა და 1922 წელს პირველად გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. იგი სამი — 1924, 1928 და 1936 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, რომლებშიც 6 მედალი მოიპოვა. მივაქციოთ ყურადღება — 1936 წლის ოლიმპიადაზე ტანმოვარჯიშე 38-ისა გახლდათ!

ახლახან მოსკოვში ვიზიტად მყოფ ოცდამესამეჯერ (!) სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს ასეთი შეკითხვაც დაუსვეს — მიწვეულია თუ არა ნაგანოში ზამთრის ოლიმპიადაზე ლეონ სტუკელიო?

— არა, ნაგანოში ის არ დაუპატიჟიათ, მაგრამ ატლანტაში ბრძანდებოდა 1996-ში და უთუოდ მიიწვევენ სიდნეიში 2000-ში. ლეონ სტუკელი ჩემი მეგობარია, მზად ვარ ჩავიდე უკვდავი ოლიმპიელის ქალაქში და მასთან ერთად აღვნიშნო ლეონის სახელოვანი იუბილე, — უპასუხია პრეზიდენტს...

**სპორტსმენები პოლიტიკაში**

# ცდუნებას ვერც ოლეგ ბლოხინმა გაუძლო

სახელგანთქმულმა კიეველმა ფეხბურთელმა ოლეგ ბლოხინმა განაცხადა, რომ კენჭს იყრის უკრაინის უმაღლეს რადაში. ბლოხინმა უამბო ჟურნალისტებს, რომ ერთადერთი პარტია, რომელმაც მისდამი ინტერესი გამოიჩინა, ეს არის „გრომადა"; ამიტომ რადაში კენჭისყრას სწორედ ამ გაერთიანებიდან აპირებს. ფეხბურთელის აზრით, „გრომადას" კარგი პროგრამა აქვს და სპორტს მასში ღირსეული ადგილის დაჭერა შეუძლია. იგი მზად არის პირადად მოჰკიდოს ხელი პროგრამის ამ ნაწილის დამუშავებას..

**მძლეოსნობა**

## ვინც რუსებთან არ იასპარეზებს, დასჯიან...

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ დასჯის მათ, ვინც შეეცდება 7 თებერვალს თავი აარიდოს საარესა და რუსეთის ნაკრებების შეხვედრას.**

**ფედერაციის გენერალური მდივანი ბანელო სინდანი, კერძოდ, იმუქრება: ვინც არ მოისურვებს პრეტორიაში თებერვლის მატჩში გამოსვლას, ვერ გაემგზავრება თანამეგობრობის ქვეყნების თამაშებზე კუალა-ლუმპურში.**

**ათლეტთა შერჩევა ნაკრებში მოხდა 97-ის სეზონის შედეგების მიხედვით; ოღონდ, ცოტა გაუგებარია, რატომ მოისურვებენ საარეს სპორტსმენები განერიდონ რუსეთელ მძლეოსნებთან შეჯიბრებებში მონაწილეობას.**

## „სპორტლოტოს" შედეგები



**25 იანვარს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების 04 ტირაჟი, დაშვებული იყო 4666 ვარიანტი.**

**მოგებახვედრილი ციფრები:**

**23, 6, 28, 19, 34.**

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (5 ვარიანტი) — 35.00 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (81 ვარიანტი) — 2.90 ლარი. მოგებები განაღდდება 28 იანვრიდან 27 თებერვლის ჩათვლით.

**05 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 1 თებერვალს, „ჯეკ-პოტი" შეადგენს 6912 ლარს, ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.**

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა გულისტკივილით იზიარებს ეროვნული ფეხბურთის ამაგდარის**

**ნოდარ ახალკაცის**

**გარდაცვალებით გამოწვეულ საერთო მწუხარებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა, სპორტული კლუბი „ლოკომოტივი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წარსულში „ლოკომოტივის" ფეხბურთელის, შემდგომში გამოჩენილი მწვრთნელის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის**

**ნოდარ ახალკაცის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობების ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის**

**ნოდარ ახალკაცის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ზიდანი ტურინულ კლუბში კიდევ 6 წელი დარჩება

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგთა იმედმა, ნახევარმცველმა *ზინედინ ზიდანმა* კონტრაქტი განაახლა ტურინის „იუვენტუსთან". ახალი ხელშეკრულების თანახმად, ზიდანი კლუბში 2004 წლამდე დარჩება. ამით წერტილი დაესვა მოარულ ხმებს იმის თაობაზე, თითქოსდა, ფეხბურთელისა და ტურინული კლუბის მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის კონფლიქტის გამო ზიდანი ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის: „იუვენტუსს" ჩემი თავი კიდევ სჭირდება და რატომ უნდა წავიდე აპენინებიდან, ვერ გამიგიაო, — განაცხადა ზიდანმა.

## თურქები რუსებით დაინტერესდნენ

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება თურქული კლუბების დაინტერესება რუსი ფეხბურთელებით — სატრანსფერო ბაზარზე ისინი ხომ იაფად ფასობენ, თანაც ნაკლებად პრეტენზიულები არიან.

ახლახანს „ბეშიქთაშმა" ესპანური კლუბიდან „ჩალის ფასად" შეისყიდა რუსეთის ნაკრების ცენტრალური მცველი *იური ნიკიფოროვი.* და აი, მზადდება ახალი გარიგება: გერმანულ „ბოხუმიდან" „ტრაბზონსპორში" გადადის ცნობილი ფორვარდი *სერგეი იურანი.* ვინ იქნება შემდეგი?

## ბოროვკა მომღერალი გახდა

ბრემენის „ვერდერის" ყოფილი ფეხბურთელი, კარგად ცნობილი ოსტატი *ული ბოროვკა,* რომელიც 35 წლისაა, ახლა პროფესიონალი მომღერალი გახდა. 2 თებერვლიდან გაიყიდება მისი კომპაქტდისკი 5000 ეგზემპლარის ოდენობით, რომელსაც მუსიკოსებმა მაღალი შეფასება მისცეს. მას ასე ჰქვია: „მე ჩემს ცხოვრებას ვუმღერი".



35



5-28



93-69



72-92

**თარაზულად:** 3. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 8. „ინტერის" ჩილელი ფეხბურთელი; საფეხბურთო კლუბები: 8 ინგლისის, 44. რუსეთის, 65. იტალიის; 43. „მილანის" კლუბის მეპატრონე და პრეზიდენტი, 47. 60-70-იან წლებში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, მცველი, 61. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 64. 60-იანი წლების არგენტინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 86. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 96. წარსულში გამოჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 100. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი.

**შვეულად:** 3. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 4. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი, 35. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი *(ფოტო),* 38. წარსულში გამოჩენილი რუსი დიდოსტატი, 39. ლეგენდარული ჩეხი მორბენალი, 40. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 41. ქართველი ფრენბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 42. ურუგვაელი ფეხბურთელი, 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 44. ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, 48. ფიდეს ყოფილი პრეზიდენტი, 87. ბელგიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 88. ცნობილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი.



**დიაგონალურად:** 2-22. იტალიელი ფორვარდი, მსოფლიოს 1982 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული; საფეხბურთო კლუბები: 17-1. ესპანეთის, 10-34, 62-79, 89-71. იტალიის, 12-30. უნგრეთის, 29-55. ჰოლანდიის, 13-36. მდგომარეობა საჭადრაკო პარტიის მსვლელობის დროს, 7-21. შეჯიბრებაში დაწინაურებული, 18-51, 1981 წლის 13 მაისი... (ქალაქი), 26-50. 1977 წლის ევროპის რჩეული ფეხბურთელი, 25-45. მძლეოსნური დისციპლინა, 45-22. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 6-20. 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, 5-28. ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო),* 23-5. ბელგიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 33-11. ქართველი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი, 37-14. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი, 24-9. ხორვატიის საკალათბურთო გუნდი, 52-19. რუსი მოცურავე მამაკაცი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი წყილთა შორის, 31-15. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 53-27. „ესპანიოლის" არგენტინელი ფეხბურთელი, 60-32. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 46-28. ცნობილი ფრანგი ველომრბოლი. 23-46. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი, 74-62. უნგრელი მოფარიკავე, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 70-49. სპორტის სახეობა, 75-56. ჩეხი ტანმოვარჯიშე ქალი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 83-57. რუსი ჩოგბურთელი ვაჟი, 95-78. საფრანგეთის საკალათბურთო კლუბი, 90-66. სპორტის სახეობა, 93-69. რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე *(ფოტო),* 99-79. წარსულში გამოჩენილი ქართველი მოფარიკავე, 74-99. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 82-98. ყოფილი ქართველი მეკარე, ამჟამად საფეხბურთო მწვრთნელი, 80-63. „მილანის" ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 63-77. უკრაინელი დიდოსტატი, 54-73. მენხენგლადბახის „ბორუსიას" ნახევარმცველი, 59-76. გამოჩენილი შვეიცარიელი ველომრბოლი, 72-92. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო),* 58-84. მსოფლიოს სტუდენტური სპორტული თამაშები, 81-97. 1996 წლის ევროპის რჩეული ფეხბურთელი, 67-91. გერმანელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 68-94. წარსულში გამოჩენილი რუსი ჰოკეისტი, 80-101. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 101-77. „არსენალის" ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 102-85. უკრაინელი ფეხბურთელი, 1960 წლის ევროპის თასის მფლობელი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ვალკარეჯი, 4-5. ადემირი, 5-6 იაპონია, 6. „ადიდასი", 11. ეში, 21. იასალდე, 28.კროლი, 33. „აუსტრია", 37. ამუნიკე, 40. გრაბოვსკი, 42. „ბრედა", 46. რიბლი, 47. რიველინო, 49. ლინეკერი, 50. დვირი, 53. იორკი, 54. კლინსმანი, 56. არბიტრი, 60. ირიბარი, 62. ბალბო, 68. ოვერატი, 78. ანო, 83-84. ამოროზო, 84-85. ოზეროვი, 85. „იფსვიჩი", 87. ტაკინარდი. **შვეულად:** 2. კეპკე, 3. რინგი, 5. იანსენი, 6. ანდრადე, 13-33. კაკულია, 16. სამორანო, 19-38. აბაშიძე, 29. უიმბლდონი, 30. მიატოვიჩი, 31. იოსელიანი, 32. ალპინისტი, 33-56. „ამერიკა", 34. არზიანი, 37. „არარატი", 38-61. ედბერგი, 39. ბრემე, 41. ჰოკეი, 43. ალი, 46. რაი, 55. სკობლარი, 56. ატლანტა, 61. ილგნერი, 68. ორლანდო, 69. ინგლისი, 78. ალეზი, 79. ოკოჩა. **დიაგონალურად:** 13-4. კოლუნა, 4-21. აპოლონი, 8-14. დუნგა, 10-20. კლოსი, 15-35. ბერგომი, 25-48. „მარაკანა", 24-44. გალიეგო, 13-34. კანტონა, 22-7. ეშფორდი, 36-17. მიულერი, 48-26. „არსენალი", 45-27. ვინტერი, 37-19. ანგლომა, 18-9. კულეი, 23-12. ვიერი, 7-19. „ივერია", 71-57. ალბერტი, 77-67 განცი, 81-72. ონილი, 63-51. ფონსეკა, 73-58. „სევილია", 83-68. აუგუსტო, . 71-83. „ალანია", 64-48. ოლივეირა, 69-86. იანკერი, 59-74. ბირჰოფი, 48-65. ამავისკა, 52-66. ფირსოვი, 60-76. იაშვილი, 75-82. შელია, 70-80. ღესაი, 86-76. ილიადი.

## საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი (ჩარგალი)



**შამათი 4 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ლc7!**

**1. ...მფf6 2. ლg7X.**

**1. ...მფ:d4 2. ლc3X.**

**1. ...მფf4 2. ლ:d6X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე